შაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 9 № 213

წელიწადი მეოთხე

შაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 9 № 213

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

შელდაზე გადმოსული ფრანგები გერმანელებმა უკუ აქციეს.

მეუზის აღმოსავლეთის ნაპირზე ამერიკელები მძლავრ იერიშებს განაგრძობენ.

ოლნუასთან სამბრეზე გერმანელები მოწინააღმდეგის მკაცრ იერიშებს იგერიებენ.

იტალიელებმა დულზინენო და ანტიმარის ნავთსადგური აიღეს.

ავსტრია-ჰუნგრეთის მინისტრმა განკარგულება გასცა, რომ ჰუნგრეთში მყოფი გერმანიის ჯარი დაუბრკოლებრივ გაუშვან.

შტუტგარტის სახალხო პარტიის ყრილობამ დაადგინა მთლიან გერმანიას მხარი დაუჭიროს.

---

ფოთის ქართულ საამშენებლო სამრეწველო და სავაჭრო სააქციონერო საზოგადოების საბჭო და გამგეობა „ოქროს ვერძი"-ს გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 გიორგობისთვეს, საღ. 8 საათზე ფოთში გარდაიცვალა იმავე საზოგადოების გამგეობის დირექტორი

### თადეოზ გიორგის ძე ქეშელავა

(1—58—1)

---

6 გიორგობისთვეს ფოთში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი

### თადეოზ გიორგის ძე ქეშელავა

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის დედა კესარია, მეუღლე ბარბარე, (ბადუ) შვილები გიორგი და დარია და ძმები თომა და ვიქტორი გიორგის ძენი ქეშელავები, პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (1—58—1)

---

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭოს გამგეობა და მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 ნოემბერს სალამოს 8 საათზე ფოთში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა იმავე საზოგადოების გამგეობის დირექტორი

### თადეოზ გიორგის ძე ქეშელავა

---

შაბათს, 9 გიორგობისთვისათვის ჯვარის უბნის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებული

### ვლადიმერ თავითის ძე ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ შვილები ალექსანდრე, დათიკო, ვალიკო, ნინო, ეკატერინე პაქრაძისა და ნადია პაქრაძისა მეუღლითურთ, რძალი პარბარე და ძმა ნესტორ ჯაფარიძე მეუღლით. 1—1

---

ივანე და ნიკოლოოზ ანდრიას ძენი, ნინო ბესარიონის ასული და დარია ვასილის ასული ყიფშიძენი ულრმეს მადლობას სწირავენ როგორც საეპარქიო გიმნაზიის გამგეთ, მასწავლებელთ და მოწაფეებს, აგრეთვე ყველა მათ, ვინც მათი ძვირფასი დის

### ანეტა ყიფშიძის

გარდაცვალებისა გამო პირადად, წერილით თუ დეპეშით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და სამძიმარი გამოგვიცხადა. (1—1853—1)

---

ღრმად დამწუხრებულნი იასე ზაქარიას ძე, ნინო ილიას ასული და თამარა ვეზირიშვილისა, ალექსანდრა და ერმალაია ნაჩყებიასი, იოსებ იოსების ძე ავალიშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს 9 გიორგობისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

### შალვა ვეზირიშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

---

## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ევლახოვისა**

შაბათს, 9 გიორგობისთვეს, ტ. ი. საბანეევის და ვ. ა. ბერეზინის მონაწილეობით

### რომეო და ჯულიეტა

ოპერა 5 მოქ., მუსიკა გუნოსი. დირიჟორი სამოსუდი ი. ა. ფასები შესამჩნევად დაკლებულია. დასაწყ. საღ. 8 ს.

კვირას, 10 გიორგობისთვეს, დილით თ. ა. შულგინის, ვ. ა. ბერეზინსა. ე. ა. ვრონსკის და საბინინის მონაწილეობით

### ევგენი ონეგინი

საღამოთი შვამბერგის, კონშინის და იენსკაის მონაწილეობით

### ჟიდოვკა

ორშაბათს, 11 გიორგობისთვეს ორდას მონაწილეობით **ბორის გოდუნოვი.**

სამშაბათს, 12 გიორგობისთვეს ტ. ი. საბანეევას მონაწილეობით — **ტრავიატა**

ოთხშაბათს. 13 გიორგობისთვეს ი. ადეშკოს, ტ. ორდას მონაწილეობით **„ტოსკა"**

---

## განცხადება.

### სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილი

ამით აცხადებს, რომ თბილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარ საწყობში 17 ნოემბერს საჯარო ვაჭრობით გაისყიდება 120 ფუთი უვარგისი მზე, 300 ფუთი უვარგისი ქვა მარილი, 2000 ფუთი უვარგისი ხილის ჩირი და 1000 ცალა ყუთიანი ქესტის ბიტონები. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზედ. დაწვრილებითი პირობების გაგება მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. (3—57—2)

---

**მეორე ქართული კლუბი**

(მიხეილის პრ. № 129).

შაბათს, 9 გიორგობისთვეს და კვირას, 10 გიორგობისთვეს საზამთრო შენობაში გაიმართება

### ლოტო

საქველმოქმედო მიზნით. დასაწყ. საღ. 7 ნახ. საათზე.

---

## ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზდათა საყურადღებოდ

საინჟენერო-სატეხნიკო სექციის უფროსი, ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო-ტელეგრაფის შესასწავლათ საჭირონი არიან ახალგაზდა ჯარისკაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟენერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება თბილისის სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ, ნაშუადღევის ორი საათიდგან ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა.

7—50—7 სამხედრო ინჟენერი პოლკოვნიკი თაყაიშვილი.

---

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა

ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების

ორ-კვირეული ჟურნალი

## „ახალი ძალა"

ფასი ორი მანეთი

რედაქტორობს კოლეგია

---

**ნაფიცი ვექილი**

### დ. გ. კვირკველია

გადმოვიდა თფილისს (გრიბოედოვის ქუჩა, 16). 10—7

---

## კონფერენცია და ტერიტორიის საკითხი

საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადებით 10 გიორგობისთვეს დედაქალაქში მოწვეულია კავკასიის ხალხთა და სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვარაუდით უნდა განიხილოს ოთხი თეზისი ახლად აღმოცენებულ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისათვის.

ჩვენ არ ვიცით, რა პასუხი მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრმა მოპატიჟებაზე, არც ის ვიცით, აღნიშნულ დროზე დანამდვილებით შესდგება, თუ არა კონფერენცია, მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა იწერება ამ საკითხის თაობაზე თბილისისა და სხვა ქალაქების გაზეთებში, ცხადათა სჩანს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადება დიდ-მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტია და ეხება ისეთ საკითხებს, რომელთა ამ ხნობამდე გამოურკვევლობამ არევდარევა და უთანხმოება დაჰბადა მომიჯნავე რესპუბლიკათა შორის.

კონფერენციის საკითხს პირველ ყოვლისა გამოეხმაურა არარატის რესპუბლიკის პრესა, რომელიც რაღაც უცნაურ მოსაზრებით თბილისში იბეჭდება, და არა სომხეთის სატახტო ქალაქ—ერევანში. დაშნაკელების ლეიბ-ორგანო „აშხატავორ"-ი ჩვეულებრივ თავხედურ კილოთი ალაპარაკდა და იმის ნაცვლად, რომ საკითხს არსებითად შეჰხებოდა, ფორმალურ ხრიკებს ძებნა დაუწყო და ჩვენს მთავრობას უსაყვედურა გაბატონებისა და ხელმძღვანელობის განზრახვების განხორციელება... რატომ იწვევთ უსათუოდ თქვენ კონფერენციას და რა მოსაზრებით წინდაწინვე ადგენთ კონფერენციის წეს-რიგს? ამით თქვენ, განაგრძობს გაზეთი, ხელფეხს უბორკავთ მომავალ კონფერენციის მონაწილეთ და მათ თქვენს ნების-ყოფას ახვევთ... დაახლოვებით ამასვე იმეორებენ დანარჩენი სომხური გაზეთებიც განურჩევლად იმისა, თუ რა ენაზე იწერებიან—სომხურსა, თუ რუსულზე.

რამდენადაც ლვარძლიანად და მტრულად აყაყანდა სომხეთის პრესა, იმდენად თავაზიანად და, საფიქრებელია, გულწრფელად მოეპყრო კონფერენციის მოწვევას თათრული პრესა! ადერბეიჯანის მთავრობის ოფიციალური ორგანო „აზერბეიჯან"-ი შემდეგ სტრიქონებს უძღვნის კონფერენციას: „ჩვენ ვესალმებით საქართველოს მთავრობის წინადადებას, რათა მოწვეულ იქმნას ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენცია და სულითა და გულით ხელს შეუწყობთ ამ საკითხების მშვიდობიან გზით გადაჭრას. კმარა სისხლის ღვრა და უაზრო ნაციონალური შუღლი. ერთაშორის მტრობით შეწუხებულნი და ბევრი სიცოცხლისა და სამკვიდრებელის დამკარგავნი ჩვენი ხალხი მიისწრაფიან საუკუნო მეზობლებთან მშვიდობიან თანასაცხოვრებლად და ამ მიმართულებაში თავმოყრილი უნდა იყოს ამიერ კავკასიის ხალხთა პოლიტიკურ ხელმძღვანელების ყოველივე ძალა და ენერგია."

„აზერბეიჯან"-ი ეხება განსაკუთრებით საზღვრების გამიჯვნის საკითხს და ჩვენცა ვფიქრობთ, რომ კონფერენციისათვის დასმულ საკითხთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ ტერიტორიისა და საზღვრების ამოხაზვის საკითხს. კონფერენციის წესრიგის მეორე თეზისი ამბობს: „ყველა სადავო საკითხის გადაჭრა, საზღვრების გამო დავის გამოუკლებლივ, გადაწყდება დაინტერესებულ სახელმწიფოთა შეთანხმებით, ხოლო უკეთუ ასეთი შეთანხმება არ მოხდა, არბიტრაჟის საშუალებით."

ეხლა, როდესაც ოსმალეთის ჯარმა მიატოვა ამიერ-კავკასიის საზღვრები და მის მიერ დაცლილ ადგილებს მრავალი პრეტენდენტი აღმოუჩნდა, მართლაც აუცილებლად საჭიროა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდეს ყოველივე სახელმწიფოებრივად მოწყობილი პოლიტიკური ერთეული და მას იურიდიულადა და ფაქტიურად მიეკუთვნოს საკუთარი ტერიტორია.

მაგრამ რა საზომით შესაძლებელია ხელმძღვანელობა სახელმწიფოთა შორის საზღვრების დადების დროს? გამოსძებნიან რესპუბლიკების წარმომადგენელნი ყველასათვის მისაღებ პრინციპს ტერიტორიის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის? და თუ საერთო პრინციპი ვერ შეიმუშავეს, გამოინახება modus vivendi დაუსრულებელ უსიამოვნებისა და კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად?

დღეს უკვე საკმაოდ პოპულიარულია ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, რაზედაც ამყარებენ სახელმწიფოებრიობის შესაძლებლობას. ამ პრინციპის სწორად შეთვისებამ და ცხოვრებაში გატარებამ ბოლო უნდა მოუღოს ძალმომრეობაზე აგებულ სახელმწიფოებს. იწყება ახალი ხანა ეროვნულ სახელმწიფოთა აღშენებისა ისტორიულად დამკვიდრებულ ტერიტორიაზე,—იმ მიწა-წყალზე, სადაც ვითარდებოდა ერის სახელმწიფო ცხოვრება და კულტურა, მწიგნობრობა და ადათები, სამხედრო ძალა და პოლიტიკური ფორმები და რომელიც მამა-პაპობამ უანდერძა შთამომავლობას მოსავლელად და საპატრონოდ.

ხალხოსნურ პრინციპმა, როგორც არის ერებისათვის ჭეშმარიტ თვითგამორკვევის მინიჭება და ამ საფუძველზე სახელმწიფო ერთეულების აღშენება, საქართველოს მეზობლების „განმარტებით" მეტად ვულგარული მიმართულება მიიღო; ჩვენ არას ვიტყვით სომხების ოფიციალურ, თუ არა ოფიციალურ შეხედულებაზე: მათი ინტერპრეტაციით თუ ვიხელმძღვანელეთ, თვითგამორკვევის უფლების მიცემა ჩვენ მოგვიხდება, „ერთობის" თქმისა არ იყოს, სოლოლაკისათვისაც-კი. და, ცხადია, რომ კვირის კონფერენციის მუშაობა სასურველად ვერ დამთავრდება, თუ სომხეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებმა აქაც იგივე განიმეორეს, რასაც სიტყვითა, თუ წერით აცხადებს სომხობა აქ—საქართველოში და უფრო მოურიდებლად სომხეთში.

ადერბეიჯანის ოფიციალური აზრი ერთა თვითგამორკვევის შესახებ უკანასკნელ დრომდე მხოლოდ პრაქტიკულ ღონის-ძიებათა მიღებაში გამოიხატებოდა. იმ დროს, როდესაც ჩვენი მთავრობა ტერიტორიის საკითხის გადაჭრას ანდობდა მომავალ საერთაშორისო სამსჯავროებს და საქართველოს ტერიტორიას პრინციპიულად, თეორიულად ჰფარგლავდა, ადერბეიჯანის რესპუბლიკა ცალმხრივ ნებით იხაზავდა საზღვრებს და იერთებდა საქართველოს ასეთს უდავო კუთხესაც კი როგორიც არის ზაქათლის ოლქი. პრაქტიკულად ნამოქმედარს გამაგრებას ადერბეიჯანის მთავრობა ცდილობს „თეორიული" დასაბუთებით. „ადერბეიჯანიდან" მოყვანილ წერილში, სხვათა შორის ის აზრია გატარებული, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიალურად მოხაზვა უნდა გამომდინარეო-

ბდეს ერთა თვითგამორკვევის იდეიდან, ესე იგი, სახელმწიფონი შენდება ნაციონალურსა და ფაქტიურ მოსახლეობის ნიადაგზე. ერთა თვითგამორკვევის მაღიარებელნი, არა გვგონია, საქართველოს მოქალაქეთა შორის ნაკლებად მოიძებნებოდეს, ვიდრე სომხეთში, ან ადერბეიჯანში, მაგრამ ქართველ ხალხს ის არ ავიწყდება, რომ აშენებს და განამტკიცებს სახელმწიფოს და არა ხუხულას! სრულიად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი სახელმწიფოებრივ შეგნებასა და პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობის უნარს, რომ თვით გამორკვევის უდიდეს პრინციპს განუსაზღვრელი ხასიათი მისცეს და მხედველობიდან განდევნოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესი. ქართველ ერს ერთს წუთსაც არ ავიწყდება, რომ აღორძინებული საქართველოს სახელმწიფო გარემოცულია იმგვარი კულტურისა და მისწრაფების ხალხისაგან, რომელიც რთულ სახელმწიფოებრივსა და ეროვნულ პრობლემების გარდაწყვეტაში ხშირად ჰოტენტონური მოსაზრებით ხელმძღვანელობს და იკუთვნებს მას, რაც იოლად დევს პატრონის დაუდევრობის გამო.

„აზერბეიჯანი“ საქართველოს მართებლობას უსაყვედურებს, რომ იგი იპყრობს, ან პრეტენზიებს აცხადებს ადერბეიჯანის მიწა-წყალზე. გაზეთს შეუტყვია, რომ საქართველოში ტერიტორიულ საკითხს განყენებულად არა სწყვეტენ, არამედ უფარდებენ მას სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სტრატეგიულ, ეკონომიურსა და ისტორიულს თვალსაზრისს. ეს მოსაზრებანი კი ადერბეიჯანის ოფიციალურ ორგანოს ცარიელ სიტყვად დ დაუსაბუთებელ არგუმენტად მიაჩნია.

ქართველი ხალხის შეურყეველი რწმენით, მთლიანი და ნამდვილ სახელმწიფოებრივად მოწყობილი საქართველო იარსებებს იმ შემთხვევაში მხოლოდ, როდესაც დაცულ იქნება მისი სასიცოცხლო ინტერესები, უწინარეს ყოვლისა, ტერიტორიულად. ეს მცნება არ უარჰყოფს ერთა თვითგამორკვევის აღიარებას, პირიქით, იგი მას ამტკიცებს და ანავითარებს და ადერბეიჯანის ხელმძღვანელებმა უნდა უწყოდნენ, რომ არსად კავკასიაში ისეთი სიწმინდით და რეალურად არ იქნება ერთა უფლება დაცული, როგორც საქართველოს დემოკრატიულს რესპუბლიკაში!

ოფიციალურ გაზეთის კილო ჩვენ გვაიმედებს, რომ საზღვრების საკითხში საქართველოს მთავრობა გამოჰნახავს ადერბეიჯანის რესპუბლიკის რწმუნებულებთან საერთო ენას და „გორდიის კვანძად“ ქმნილ ტერიტორიის შემოფარგვლას ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრით.

არ ვიცით, რა ტაქტიკას დაადგებიან წარმომადგენელნი იმ სახელმწიფოისა, რომელიც ჰლამობდა იარაღით გაეფართოებინა სახელმწიფოს საზღვარი საქართველოს ხარჯზე. თუმცა კაჩაზნუნის მთავრობა დასთანხმდა ბოლოს მახვილის დაშვებას, მაგრამ უცნობია, რა მოსაზრებით: მშვიდობიანური განწყობილებით, თუ უფრო რეალური გარემოების ზეგავლენით. სომხის ზინვორებმა იარაღი დაჰყარეს, მაგრამ სომხის სიტყვა და კალამი დღესაც ამხედრებულია საქართველოს წინააღმდეგ და შუღლის თესვას დაუსჯელად განაგრძობს... ვნახოთ, რა ჰანგებზე ალაპარაკდება არარატის დიპლომატია კავკასიის ერთა კონფერენციაზე?!

საქართველოს აზრი მტკიცე და უკანასკნელია: ქართველ ხალხს დაპყრობითი პოლიტიკა აროდეს უწარმოებია.

საქართველოს ტერიტორია მრავალ საუკუნეთა წყებამ ჩამოაყალიბა და მიუკუთვნა ქართველობას. ფაქტიური მოსახლეობა უკანასკნელ უკუღმართ ეპოქისა ცვლილებას ვერ შეიტანს საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებაში და არც ნებას მისცემს ვინმე მესამეს თავისებურად გაგებულ „ეთნიური პრინციპის“ განადღებისას.

ამაო იქნება სამშვიდობო კონფერენციაზე მოსვლა, უკეთუ მოპატიჟებულნი აგრესიულ განზრახვებს თავის საზღვრებზე არ დასტოვებენ და იმ ენით დაგვიწყებენ საუბარს, რაც ზოგიერთ უცხო გაზეთებს ჰსჩვევიათ.

საქართველომ ვალი მოიხადა. საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადება გამოწვეულია მხოლოდ იმ მიზნით, რომ კეთილმეზობლური დამოკიდებულება დაამყაროს კავკასიის რესპუბლიკათა შორის.

კონფერენციის ნაყოფიერება იმაზედაა დამოკიდებული, რამდენად შესისხლორცებული აქვთ ეს მთავარი აზრი მომიჯნავე სახელმწიფოებს და იმ რწმუნებულებს, ვინც სახელმწიფოთა სახელით ამეტყველდება ამ უდიდეს მნიშვნელობის კრებაზე.

**რ. ინგილო.**

# სომეხთა იერიში საქართველოს წინააღმდეგ.

II

ბ. ნოე ჟორდანიას აქვს მეტად საყურადღებო წერილი თბილისის შესახებ. აქ პატივცემული ავტორი სხვათა შორის სწერს: „ამ საუკუნის (იგულისხმეთ მეცხრამეტე) დამდეგამდის თბილისი, როგორც ქართველთა სატახტო ქალაქი, წმინდა ქართული ქალაქი იყო.“ *) მაშ რა მოხდა? რამ შესცვალა გარემოება? ამას ჰქონდა ორი მიზეზი. პირველი და უმთავრესი, ეს იყო გასული საუკუნის დამდეგს მომხდარი პოლიტიკური ცვლილება. მონა ქართველმა დაჰკარგა საკუთარ პოლიტიკის წარმოების საშვალება, თავის ქვეყნის მოვლის საშვალება. პირიქით მთელი პოლიტიკური აპარატი მოიმართა მის დასაცემად და მის დაცემასთან ერთად სხვის ასამაღლებლად. მეორე მიზეზი ეკონომიური ხასიათის იყო. ქართველმა ერმა თავ დაცვისათვის მუდმივ ბრძოლაში ჩაბმულმა წარმოშვა ძლიერი სამხედრო კლასი, მაგრამ ვეღარ განავითარა საშვალო, ქალაქის წოდება. ამგვარად მე-18-ე საუკუნის დამლევს ქართველობა წარმოადგენს უმრავლესობას—გლეხობას და სამხედრო კლასს. მეტად სუსტია ვაჭარ-ხელოსანთა კლასი, რომლის მაგიერობას უცხო ელემენტები, განსაკუთრებით სომხები ასრულებენ. სომხებმა მოხერხებულად ისარგებლეს ასეთი მდგომარეობით და საკმაოდ გაღონიერდენ. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა, რომ ქართველი ერი ძველ მდგომარეობაში დარჩებოდა. ბოლო დროს ქართველობა ქალაქად ბლომად გავიდა, ვაჭრობა-მრეწველობაში, ხელოსნობაში საპატიო ადგილი დაიჭირა. დღემდის მის განვითარებას პოლიტიკური მდგომარეობა ხელს არ უწყობდა.

დღეს თბილისში ბლომად არიან რუსები და სომხები. რუსებს საქართველოსკენ იზიდავდა ადმინისტრაციაში სამსახური. ქართველი ერი მოკლებული იყო საშვალებას თავის ქვეყნის გამგეობაში მონაწილეობა მიეღო. სხვა და სხვა ჯურის რუსის მოხელეებს მოჰყვნენ სხვა დარგის ხალხიც, მუშები, ხელოსნები, ვაჭრები. სამწუხაროდ საქართველოს განთავისუფლებასთან ერთად ბევრი წავიდა ჩვენგან ხელოსნები და მუშები. მაგრამ ჩვენში დარჩენ ბლომად ძველი მოხელეები, რომელნიც აწარმოებენ მძლავრ მუშაობას საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ელემენტი თან დათან იმედ გაცრუებული იქით იზამს პირს, საიდანაც მოსულა და ამით შემცირდება საქართველოს ორგულთა რიცხვი ჩვენ მიწა-წყალზე. ამავე დროს ვიმედოვნებთ. რომ დაბოლოს მთავრობა ყურადღებას მიაქცევს უცხოელთ-ალვირ აშვებულ აგიტაციას და საბოლოოდ აღკრძალავს ასეთ გაზეთებს და დაწესებულებებს, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობას ებრძვიან. ასეთი ზომები მოგვაშორებენ მავნე ელემენტებს, ხოლო დარჩებიან ისეთნი, რომელთა ყოფნა ჩვენთვის სასარგებლოც იქნება და სასურველიც.

იმედია, ბ. ბ. სომხებიც ადრე თუ გვიან შესცვლიან თავიანთ შეურიგებელ მუშაობას თბილისში. აზიური სისტემა ვაჭრობაშიც თანდათან ისპობა. პოლიტიკაში კი სრულიად მორალზე ხელის აღება არ არის სახეირო. არალოიალურ მოქმედებას საზღვარი უნდა ჰქონდეს. ქართველთა მოთმინებასაც საზღვარი ექნება ერთს დღეს. და მთელი ქართველი ხალხი მოითხოვს, რომ ყოველი უცხოელი, რომელიც ჩვენში ცხოვრებას მოისურვებს ჩვენს კანონებს და წესწყობილებას პატივს სცემდეს. უწინარეს საჭიროა მთავრობამ მიიღოს გარკვეული ზომები ქვეშევრდომობის კანონის განსახორციელებლად. ეს აუცილებელია რადგან არა ერთი ახალგაზრდა სომეხი მიემგზავრება ერევანს სომხის ჯარში სამსახურისათვის, ხოლო იმავე დროს თბილისის მოქალაქეობასაც ჩემულობს, რათა ისარგებლოს მოქალაქის უფლებით საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედოთ. ბოლო უნდა მოეღოს ამ არაზნეობრივ, თაღლითურ პოლიტიკურ თამაშს.

რუსებმაც და სომხებმაც უნდა იცოდნენ, რომ ქართველი ერი პატივისცემით მოეპყრობა მათ უფლებებს, მაგრამ არასდროს არ დასთმობს ერთ ნამცეცს თავისუფლებისას. ქართველი ერის ძირითადი უფლებაა მის ტერიტორიაზე სუვერენობა, უზენაესი ხელმწიფება. თბილისიც ამ ტერიტორიის ნაწილია, მისი ცენტრია და აქ სადაო არავის არაფერი აქვს.

ქართველი ერიც უფრო გულმაგრად და გაბედულად, უნდა მოქმედებდეს. ისეთი მოვლენა, როგორიც ჩვენშია, სხვა ქვეყანაშიც იყო. მე-19 საუკუნის ნახევარში ჩეხიაში მთელი ქალაქები, განსაკუთრებით პრაგა გერმანელების ხელში იყო, ჩეხების მაღალი წოდება სულ გაგერმანებული იყო, ჩეხური მხოლოდ სოფლელთა ქერქვეშ თავს იფარავდა. რამდენიმე ათეულ წელიწადში მდგომარეობა შეიცვალა. ჩეხებმა შექმნეს ძლიერი ქალაქის ელემენტი მუშები, ხელოსნები და ვაჭარ-მრეწველები, ააყვავეს თავიანთი კულტურა, მეცნიერება და ამ საფუძველზე ჩეხიამ ფეხი შემოდგა როგორც ერთმა მოწინავე კულტუროსანმა ერმა. იგივე იყო ბულგარეთში. განთავისუფლების ჟამს სოფიაში ვაჭრობა სულ უცხო ელემენტების ხელში იყო. თბილისშიაც ქართველობა დღითი დღე გაძლიერდება. ამ გაძლიერებას ხელს შეუწყობს ბუნებრივი ზრდა ჩვენი ხალხისა. დღემდის მთებში შეკუნჭული თუში ფშავი, ხევსური, თავის სახლებში მიმალული კახელი, ქართლელი თავის სატახტო ქალაქს მიაკითხავს მუშაობისთვის, ვაჭრობისთვის, მრეწველობისთვის, ხელოვნებისთვის. საქართველოს ყოველ კუთხიდან თბილისს შემოემატება ყოველ სარბიელზე მოქმედების მაძებარი ქართველი. წინედ უპატრონოდ დარჩენილი ქართველობა ხელოვნურად ეძებდა თავშესაფარს უცხო ქვეყანაში და ბევრი გადადიოდა ჩრდილო-კავკასიისკენ. დღეს თავისუფალი ქართველი ყოველ უწინარეს თავის სამშობლოში მოძებნის თავის საქმიანობის ადგილს. უთვალავი ახალგაზრდობა იფანტება სწავლისათვის რუსეთში და გვიბრუნდება დასნეულებული, გადაგვარებული. დღეიდან ისინი საქართველოს სატახტო ქალაქში მეცნიერულ წყურვილსაც დაიკმაყოფილებენ და თავის ახალგაზრდულ ღტაცებასაც სამშობლოს აყვავებას შესწირავენ. ბუნებრივად თბილისი ქართველი ერის შემოქმედების, მისი საქმიანობის ცენტრია. და რამდენი დღე გავა, იმდენად ეს საგრძნობელი იქნება ქართველი ერისათვის. მაგრამ ბუნებრივ მოვლენას პოლიტიკურ ცხოვრებაში შეგნებული ხელმძღვანელობაც უნდა. რასაკვირველია, ჩვენ მოვთხოვთ ჩვენ მთავრობას მტკიცე მოქმედებას ჩვენი სახელმწიფოებრივობის დამკვიდრებაში. მაგრამ ყოველი ქართველი დაცხნავე იქნებოდა სამშობლოს წინაშე, რომ მან მარტო მთავრობას დააკისროს მძიმე ტვირთი ქვეყნის აშენებლობისა და ჩვენ მტერთა მოგერიებისა. ყოველი ჩვენგანი მოვალეა ფხიზლად და შეგნებულად ასრულებდეს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე. მაშინ ბ-ნი ხატისოვი და მისი აყოლ-ჩაყოლი სომხობაც ისე ვეღარ გაკადნიერდება და თავს ხევით ვერ ასწევს. ვიმეორებ, ქართველი ერი ერთ წამსაც არ ფიქრობს შეავიწროვოს ჩვენში შემოხიზნულ ერთა უფლებანი. მხოლოდ კარგად უნდა იცოდნენ ამ ერებმაც, რომ მათ მხრივ ჩვენ ველით ლოიალურ თავდაჭერას, ჩვენი კანონების და სახელმწიფოებრიობის პატივისცემას. სომეხთა ერი ისეთს ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ საქართველოს შესწიროს თავისი მომავალი მის ბუნდოვან და საეჭვო მიდრეკილებით.

**პ. სურგულაძე.**

---

*) ნოე ჟორდანია, რჩეული ნაწერები, გვ. 278.

# პარლამენტის წევრთა აბსენტიზმი

ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ ქარცეცხლის დროს, როცა ყოველ წუთს შეიძლება ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი გადაწყდეს, როცა შეიძლება არა თუ ჩვენს დამოუკიდებლობას და კულტურულ ღირებულებას ბოლო მოეღოს, არამედ ფიზიკურ არსებობაც განსაცდელში ჩავარდეს, ამ დროს საკანონმდებლო ორგანო, რომლის ხელშია ყველა ეს საკითხები, აბსენტიზმით იყოს შეპყრობილი. არა თუ მუდამ არ მუშაობდეს, სხდომებსაც ვერ ჰკრებდეს.

სამწუხაროდ ეს ფაქტია და ფაქტი თანდაყოლილი. თითქმის დღიდამ თავისუფლების გამოცხადებისა, კომისიებში შრომა შეფერხებული იყო, რადგან წევრები არ მოდიოდენ, თვით საბჭოს სხდომები კი დილის 11 საათის მაგიერ იწყებოდა დღის პირველ საათზე და ისიც არა შესამჩნევ უმეტესობის თანადასწრებით. თუ შეკითხვები ან რაიმე სენსაციური საქმეები ირჩეოდა, წევრები ბლომად ესწრებოდენ მაგრამ თუ საკითხები შეეხებოდა სერიოზულ საკანონმდებლო, ან საეკონომიო საქმეებს, მაშინ ქვორუმი ძლივს იკრიბებოდა. უკანასკნელ ხანებში ამ მოვლენამ უფრო მეტად იჩინა თავი. ორჯერ პარლამენტის სხდომებიც არ შესდგა და მხოლოდ სასტიკმა ენერგიამ პარლამენტის პრეზიდიუმისამ, თუ ფრაქციების წარმომადგენლობისამ მოუყარა თავი გიორგობისთვის 2-ს სხდომაზე წევრთა საკმაო რიცხვს. ეს იყო მიზეზი, რომ პარლამენტმა დაადგინა, სხდომები იწყებოდეს 12 საათზე და თავდებოდეს 3 საათზე, ე. ი. სამუშაო დღეთ დააკანონა სამი საათი.

უმცირესს მცხოვრებათა წარმომადგენელნი, როგორც დაგვანახვა მათმა მოქმედებამ, სრულებით არ არიან დაინტერესებულნი საქართველოს გამაგრებით. მათ თავისი ტკივილები აწუხებს, მათი თვალი, სხვაგან იყურება. ქართველ დეპუტატთა შორის 85% სოციალისტთა და მოსოციალისტე ჯგუფთაგან შესდგება; ეს ხალხი მუდამ წინააღმდეგობას უწევდა ბურჟუაზიულ წესწყობილებას და რასაკვირველია არ შეუძლია იქონიონ სერიოზული მომზადება ბურჟუაზიული სახელმწიფოს ასაშენებლად. დასაძრახისი აქ მხოლოდ ლიდერებია, რომლებიც აიძულებენ ასეთ ხალხს პარლამენტში ისხდენ და მუდამ ადასტურებდენ ლიდერთა სიტყვებს.

ჩვენი სოციალდემოკრატიის მოთავეხი მუდამ იმას სტიროდნენ, რომ ბედმა მათ არგუნა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოწყობა და მართვა, მაშინ როდესაც მათი საქმე მხოლოდ ამგვარ სახელმწიფოს წინააღმდეგობა და მასთან ბრძოლააო. ყველას არწმუნებენ და, გვგონია, თვითონაც უნდა თავისი თავი დაარწმუნონ, რომ საქართველოში სხვა არავითარი ელემენტი არ არის, რომელსაც შეეძლოს არა თუ სრულიად მიიღოს თავის თავზე ეს მართვა-გამგეობა, არამედ შეეძლოს უბრალო დახმარებაცაო. უცხო ქვეყნების დემოკრატია, როცა სოციალდემოკრატების უკანასკნელ წერილს წაიკითხავს, უთუოდ განცვიფრებაში მოვა ამგვარი აზრით. ევროპის დემოკრატია იქნება ის თუ ბურჟუაზია, ვერ წარმოიდგენს, რომ ქვეყანაზე არსებობდეს საკითხი, სადაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შექმნა და მართვა იკისრა სოციალდემოკრატიამ მხოლოდ მისთვის, რომ იქ არ არსებობს სათანადო გამოცდილი ბურჟუაზია.

თუ ამას გავითვალისწინებთ, მივხდებით, რომ სოციალდემოკრატების იმ მასსას, რომელსაც შეადგენს ეს მოუმზადებელი ხალხი, სრულიად არ აინტერესებს ყოველ დღიური სისტემატიური მუშაობა პარლამენტში და იგი, როცა კი დრო შოულობს, გაურბის სხდომებს და ესწრება მხოლოდ იმ სხდომებს, რომელზედაც დასწრება დავალებული აქვს პარტიის მოთავეებისაგან. სხვა შემთხვევებში იგი დარწმუნებულია, რომ პარტიული ინტერესები სავსებით იქნება დაცული პარლამენტის ძალთა განწყობილებით. და თუ ეს განწყობილება რომელიმე სხდომაზე იქნა შეცვლილი, პარტიას ყოველთვის ექნება ძალა შემდეგ სხდომაზე შეასწოროს მოწინააღმდეგეთა გამოტანილი განაჩენი, როგორც ეს სოციალდემოკრატებმა ჩაიდინეს მაგალითად უმცირესობის ენათა ხმარების საკითხში.

დანარჩენ ჯგუფების აბსენტიზმიც ამ ძალთა განწყობილებაზეა დამყარებული. ყოველ სერიოზულ საკითხს ეს ჯგუფები პირველად ბლომად შეხვდებიან და სანამ არ დარწმუნდებიან, რომ სოციალდემოკრატები საკითხის ყოველ მხარეს მხოლოდ თავისი პარტიული თვალსაზრისით უყურებენ, სხდომას არ სტოვებენ და მხურვალე მონაწილეობას იღებენ საქმის გარჩევაში. სამწუხაროდ მუდამ ასე არ არის. რა საკითხიც კი გარჩეულა ჩვენს პარლამენტში, ყოველ მათგანს ჩვენი სოციალდემოკრატები უცქერიან მხოლოდ თავისი ჯგუფურის ინტერესებისათვის. ეხება ეს საკითხი დიდ საერთაშორისო პრობლემას ან სახელმწიფოს აშენების საზოგადო პროგრამს, თუ იგი ეხება ამა თუ იმ უწყების წესრიგს, ან ყველასაგან საანბანოდ მიჩნეულ დებულებას, სოციალდემოკრატია მაინც მტკიცედ ადგია ლიდერების მიერ გამოთქმულ აზრს და ყოველი მათგანი იძულებულია დაიცვას იგი.

დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების გარჩევის დროს, მაგალითად, სოციალდემოკრატებმა მისცეს არა თუ აქტიური, არამედ პასსიური უფლება ადმინისტრაციას, მისცეს ჯარისკაცებს პასსიური უფლება, დააკანონეს საარჩევნო კომისიების მთელი შემადგენლობა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან ლიდერების დაჟინებით და ეხლანდელი თავის ჯგუფური ინტერესებისათვის.

თუ დანარჩენი ჯგუფები და პარტიები რწმუნდებიან, რომ რაც უნდა სასარგებლო წინადადება იქნეს შეტანილი რომელიმე საკითხში უმრავლესობა პარტიული ჟინიანობის გამო უარყოფს, თუ საზოგადოთ ყოველ კანონპროექტს ან საკითხს უმრავლესობა გადასწყვეტს არა იმისთვის, რომ სახელმწიფოს ძალები შეკრიბოს და გაამაგროს, რა აიძულებს მათ სხდომებზე მივიდნენ და თუ მივლენ გათავებამდე დარჩნენ.

ზოგიერთი დარწმუნებულია, რომ ჩვენი სოციალდემოკრატია ბოლოს და ბოლოს შეიგნებს სახელმწიფოებრივ მოვალეობას, საკითხებს და საქმეებს საზოგადო თვალსაზრისით დაუწყებს ცქერას და არა თავისი მაღალფარდოვანი ლოზუნგების გასაძლიერებლად და რომ მაშინ წევრების აბსენტიზმსაც მოეღება ბოლო.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ პარლამენტის წევრების აბსენტიზმს მაშინ მოეღება ბოლო, როცა ან სახელმწიფოს მართვა-გამგეობის თავში მოექცევა სახელმწიფოებრივი ძალები ან და პარლამენტში ისეთი ძალთა-განწყობილება დამყარდება, როცა მოუმზადებელი და სახელმწიფო აღმშენებლობითი საქმისათვის გამოუდეგარ პარტიას არ ექნება უმრავლესობა, როგორიც არის ჩვენი სოციალდემოკრატია.

**იასონ ლორთქიფანიძე.**

# პრესსა

### სომხების მუქარა

„ორიზონი“ მორიგ წერილში ლტოლვილების შესახებ შემდეგს სწერს:

„ენვერ-ფაშა სპობს სომხის ხალხს ოსმალეთში, ხან ხოილი—ამავე დანაშაულობას სჩადის ადერბეიჯანში და ნ. ჟორდანიას მთავრობა დემოკრატიულ საქართველოში.

ახალგაზდა ოსმალები, მუსავატელები და „სოციალისტები“ შეერთდენ და სისრულეში მოჰყავთ სისხლიანი პოლიტიკა სომხის ხალხის მოსპობისა მშვიდობიანი გზით, ან და ძალდატანებით.

იღუპება მთელი ერი კაცობრიობის თვალწინ, იღუპებიან ათასობით დარჩენილი ლტოლვილები.

ღუპავენ სომხებს საქართველოში სომხის დემოკრატიის სამწუხაროდ.

ჯავახეთი რომ შეიქნეს ქართული უნდა დაიღუპონ სომხის ლტოლვილები ბაკურიანში და წალკაში ენვერ-ფაშას და თალაათ-ბეის ნაჩვენებ ხერხით.

უნდა შეწყდეს ხალხის ამოჟლეტა, ჩვენ არ შეგვიძლია მოვითმინოთ ენვერ-ფაშას დანაშაულობა საქართველოში.

სომხეთის მთავრობა, მთელ საქართველოს სომხების მოსახლეობა, ყველა ორგანიზაციები თბილისში და ყველა მოქალაქე სომეხი არ უნდა დაერიდოს არავითარ მსხვერპლს და უნდა ძალა დაატანოს საქართველოს მთავრობას, რომ შესწყვიტოს სომხის ხალხის მოსპობა“.

უკანასკნელ დღეებში სომხები ძალიან გათამამდნენ. ეს სითამამე უკვე გადადის კადნიერებაში, და ისეთ კადნიერებაში, რომელიც ამ მშიშარა ხალხს არას დროს არ გამოუჩენია. ჩვენ გვეგონა, რომ ლორის ინციდენტში ამოიწურებოდა მათი ალარმისტური ჟინი, მაგრამ, როცა არარატის მთავრობა შეჩერდა ჩვენ სახლში ალაპარაკდენ პროვოკატორები და იქამდისაც მიდიან, რომ აჯანყების მოწყობას და მთავრობის დამხობას ლამობენ, სხვაგვარათ შეუძლებელია ამოწერილი წერილის გაგება. მათ უნდათ ახალ საერთაშორისო განწყობილების დროს შეჰქნან საქართველოს წინააღმდეგ კომპანია და მოგონილი საშინელების და ქლეტის წილი საქართველოს დასდონ. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, რომ სომხები უმადურობას გამოიჩენდენ, მადლობის გრძნობა რაინდობის გრძნობაა და დამნაკლებს ვინ მისცათ რაინდობა, მაგრამ როცა უმადური ალაპარაკდება საჭიროა მისი ადგილის მიჩენა. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენმა მთავრობამ დღეს დახურა ეს პროვოკატორების გაზეთი, მაგრამ განა ეს საკმარისია, რომ კადნიერები მოჰკვიანდენ.

ამბოხებას ვინც აწყობს სახელმწიფოს მთავრობა სხვანაირ ზომებს ხმარობდეს უნდა იმათ წინააღმდეგ.

# ქრონიკა

ბ-ნ ევგენი გეგეჭკორმა ჩაიბარა საგარეო საქმეთა მინისტრობა დროებით ბ-ნ აკაკი ჩხენკელის ბერლინიდან დაბრუნებამდე.

**ინგლისური მისია.** კავკავიდან თბილისში ჩამოვიდა ინგლისური მისია, რომელსაც ამას წინედ საქართველოს მთავრობამ ნება დართო თბილისში იცხოვროს.

**რკინის გზის ქონება.** ლ. კუპრაშვილის წინადადებით ქუთაისის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ აზრუმის რკინის გზის 300 ვერსის სიგრძის ლიანდაგი და აგრეთვე სხვა მასალა: შპალები, ვაგონები და ორთქლმავალები, რომელიც ეხლა უპატრონოდ ფუჭდება, ქუთაისში ჩამოიტანონ და ქუთაის-ხონი-სამტრედიის ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზის გასაყვანად გამოიყენონ. ამ მასალის შეძენა იაფად შეიძლება. მრეწველი კ. დათეშიძე კისრულობს ამ ქონების ქუთაისში გადაზიდვას იმ პირობით, რომ თუ ქუთაისის თვითმართველობა თვის განმავლობაში ვერ გადასწყვეტს ხსენებულ რკინის გზის გაყვანას, მაშინ აუნაზღაურონ ხარჯები. ეს წინადადება ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მოიწონა.

**ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა** აღმასრულებელ კომიტეტმა მოსთხოვა ქალაქის გამგეობას გიორგობისთვის 10-მდე ენკენისთვის და ღვინობისთვის ჯამაგირი მოსამსახურეებისათვის. ქალაქის გამგეობა ყოველი ზომების მიღებას დაჰპირდა.

**შეშა ქალაქისთვის.** ქალაქის გამგეობამ აკაკი ხოშტარიასთან ხელშეკრულება დასდო ქალაქისთვის საჭირო შეშის დასამზადებლად.

**თფ. მილიციის პროფესიონალურმა საბჭომ** ქალაქის გამგეობას მოთხოვნილება წარუდგინა ჯამაგირის მომატების შესახებ. ქალაქის გამგეობამ მოხსენება დაამზადა ამ საგანზე ქალაქის საბჭოსთვის წარმოსადგენად.

**ქალაქის გამგეობის საფინანსო** განყოფილების გამგედ ს. ფირუმოვი დაინიშნა.

**რუსთა ეროვნულ საბჭომ** სთხოვა საქართველოს და სომხეთის მთავრობას ლორეში სასოფლო მილიცია დაააარსონ. ეს შუამდგომლობა გამოწვეულია იმით, რომ იქაურ რუსებს თათრები ავიწროებენ.

**სომხეთის სამხედრო ქონება თბილისში.** სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელის ჯამალიანის დაბეჯითებითი შუამდგომლობით მანთაშევის ქარვასლაში მყოფი სომხეთის სამხედრო ქონების არსენალში გადაზიდვა დროებით შეაჩერეს. ჯამალიანმა სთხოვა მთავრობას ნება დართონ ეხლავე გადაზიდოს ეს ქონება ერევანში მომავალში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

**საათის უკან დაწევა.** მთავრობის განკარგულებით ორშაბათიდან, გიორგობისთვის 12-დან, საათის ისარი ერთი საათი უკან უნდა დაიწიოს. დაწესებულებებში ამის გამო მეცადინეობა ერთი საათით ადრე დაიწყება.

**საშუალო სასწავლებლების რევიზია.** იმ კომისიაში, რომელმაც თბილისის საშუალო სასწავლებლების რევიზია უნდა მოახდინოს, დაინიშნენ: სახაზინო გიმნაზიების დირექტორები: ი. ს. ღულაძე, ნ. ჩიგოგიძე, პ. ქარუმიძე და მ. ზაალიშვილი.

**ყუმბარის გასკდომა.** გუშინწინ მე-7 კომისარიატის უბანში, რკინის გზის იქით, სადაც ლტოლვილნი არიან დაბანაკებულნი, გაუგებარ მიზეზების გამო ყუმბარა გასკდა, რამაც ერთი ლტოლვილი იმსხვერპლა.

**გადამდები სნეულებანი.** ხოლერა ქალაქში შემცირდა მაგრამ სრულიად არ შეწყვეტილა. ქალაქის საავადმყოფოში დღეში 1—2 კაცი მოჰყავთ ხოლერიანი. ბოლო დროს ერთობ გავრცელდა სხვა გადამდები სნეულებანი. ოქტომბრის განმავლობაში სახადით ავად გახდა 164 კაცი, ყვავილით 7, ხუნაგით 28, დეზინტერიით 1 კაცი.

**გაფიცვის შეწყვეტა.** სახაზინო პალატის და გადასახადთა ინსპექციის მოხელეთა გაფიცვა დასრულდა, რადგანაც მათი მოთხოვნილება ყველა დააკმაყოფილეს.

**რუსთა ეროვნული საბჭო** აცხადებს, რომ იმ რუსებმა, რომელნიც ლიკვიდაციის გამო დაითხოვეს და რომელთაც რუსეთშიწასასვლელად ფოთამდე უფასოდ რკინის გზით მოგზაურობა სწადიათ უნდა მიჰმართონ გზათა სამინისტროში გ. ფირცხალავას

**ქართველი სტუდენტები გერმანიაში.** გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის წარმომადგენელმა აცნობა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში ჯამალიანს რომ გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა ძალების შესახებ, რომ პრუსიის სამეფოს განათლების მინისტრმა თანხმობა განაცხადა იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს სომხეთის და ადერბეიჯანის ახალგაზრდების მიღების შესახებ. სტუდენტებს მიიღებენ შესაფერ ცენზის შემოწმების შემდეგ.

**არქეოლოგიური საზოგადოება.** დღეს, საღ. 6 ნახ. ს., კავკასიის მუზეუმის დარბაზში (ლორისმელიქოვის ქუჩა № 10) არქეოლოგიურ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება შესდგება, მოხსენებებს წაიკითხავენ: ლ. მ. მელიქსეთ-ბეგი „რადენად არის სალკედონიტობის მიმდევარი სომეხთა კათოლიკოზი საჰაკ მესამე (VII—VIII ს)" და გორდეევი—„შოთა რუსთველის პოემის ძველ სურათებზე შესახებ".

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.** მაზრაში თავი იჩინა საქონლის ჭირმა. ექიმები დაგზავნილია ყველა კუთხეებში, მაგრამ შრატის უქონლობა საქმეს აფერხებს.

**რაჭა-ლეჩხუმი** რაჭა-ლეჩხუმის გზაზე მოჰკლეს ძმ. ვიქტორ და კირილე ჯაფარიძენი.

**დუშეთის მაზრა.** ძავის ქალაზე ავაზაკები თავს დაესხნენ სამხედრო წისქვილის გამგეს ტეხნიკოსს ბ. ბოცვაძეს და გასძარცვეს იგი და მასთან მყოფნი. 1-ლ ღვინობისთვეს მძარცველები თბილისში აღმოაჩინეს.

**სამეგრელო.** აქეთ ძალიან აცივდა. სასტიკ ქარებმა ხელი შეუწყეს ესპანურ ავადმყოფობას, რომელიც ჰმუსრავს განსაკუთრებით ბავშვებს.

## ვაჭრობა-მრეწველობა

**ფასების დაცემა**

თბილისის ბაზარზე სხვა და სხვა საქონლის როგორც ავეჯის, ტანისამოსის და სხ. ფასებმა საგრძნობლად დაიწია. გაიაფდა პურის ფქვილიც, მაგრამ პურის გაიაფების საქმე ნელა მიდის.

**ს ა პ ო ნ ი**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ საუბნო სასურსათო დუქნებს შორის გაანაწილა საპონი, რომელიც საქართველოს სასურსათო საბჭოსგან მიუღია. გირვანქა 5 მ. 50 კ. ეღირება.

**პ უ რ ი**

შესდგა გერმანიის სამეურნეო მისიის, ქალაქთა კავშირის და თბილისის გამგეობის წარმომადგენელთაგან შეერთებული კომისია, რომელიც გიორგობისთვის 12-იდან ქალაქს გირვანქა პურს 1 მ. 50 კ. მიაწვდის. სულზედ იქნება გადადებული ½ გირ.

## ძეგვის ხიდი

**ხიდის აფეთქება**

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ხიდის აფეთქების საქმის გამოძიებას. გამოძიებას იუსტიციის მინისტრთან ერთად აწარმოებს. გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა, ვინაიდან ხიდის აფეთქების საქმე დიდ მასშტაბზეა გადაშლილი.

**ძეგვის დაზიანებული ხიდი.**

გუშინ თბილისში დაბრუნდნენ გზათა მინისტრი ბ. ლორთქიფანიძე და რკ. გზის საერთო საქმეთა მმართველი კ. გ. ფიცხელაური, რომელნიც ძეგვის დაზიანებულ ხიდის დასათვალიერებლად იყვნენ წასულნი. ხიდის შეკეთების საქმე სწრაფად მიდის. მოძრაობის სრული წესიერი აღდგენა ამ ხიდზე დაიწყება არა უგვიანეს 3 დღისა. გზაზე გამოცხადებული სამხედრო წესები უკვე ძალაშია. თითო ხიდზე გასწევს დარაჯობას არა ნაკლებ ორი ჯარისკაცისა დღე და ღამე. შემუშავებულია სავალდებულო დადგენილებანი, რომელიც დღეს გამოქვეყნდება.

## ბორჩალოში

თუმცა სომეხთა მთავრობა დასთანხმდა დავის მშვიდობიანათ გადაწყვეტაზე, მაგრამ ჯარის ნაწილები მდგომარეობის გამწვავებას განაგრძობენ და სრულიად გამოუწვევლად, დღისით თუ ღამით ჩვენს ნაწილებს, რომელნიც იძულებულნი არიან თხრილებში ისხდნენ, გამუდმებით ესვრიან თოფს. როდესაც ჩვენები შეჰკითხვიან მათ ოფიცერს, რად შვრებით ამას. ოფიცერს განუცხადებია: ეს ჯარის ნაწილების „ფანტაზიაო".

## დაშნაკცაკანების პროვოკაცია

სომხეთის საქმეთა რწმუნებულმა საქართველოს რესპუბლიკის წინაშე კიევის სომხეთის კომისარიატს აცნობა თუ რა აუტანელ მდგომარეობაში არიან ახალქალაქის სომეხი ლტოლვილები, რომელნიც ამ ჟამად ბაკურიანისა და წალკას მიდამოებში იმყოფებიან. ოსმალები ნებას არ აძლევენ მათ სამშობლოში დაბრუნდნენ და ამავე დროს საქართველოს მთავრობაც ნებას არ აძლევს სხვა ადგილებში დასახლდნენ. სომხის რწმუნებული აუწყებს, რომ თუ ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნება დაუგვიანდათ, მათი დაღუპვა აუცილებელია უბინაობის გამო. სომხეთის საქმეთა რწმუნებული კიევის კომისარიატს ჰსთხოვს ეს ამბავი საქვეყნოდ იყოს უწყებული.

## ადერბეიჯანი.

**(საუბარი ნ. ქარცივაძესთან)**

მხოლოდ ერთი თვე ვიცხოვრე ბაქოში, როგორც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელმა, და დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ როგორც მმართველ და მაღალ წრეებში, ისე თვით რესპუბლიკის მცხოვრებთა შორის საქართველოსადმი გულწრფელი მეზობლური განწყობილება არსებობს, მხოლოდ ეს სულიერი განწყობილება საჭიროა იქნეს უფრო თვალსაჩინო. ენკენისთვეს მომხდარ არეულობის დროს ქართველების ზარალი, ფიზიკური მხრით, სულ მცირედი იყო. როგორც ირკვევა სრულიად შემთხვევით მხოლოდ ოთხი ქართველი აღმოჩნდა მოკლულთა შორის, მაგრამ ნივთიერი ზარალი ბაქოში მყოფ ქართველებისა დიდია. ბევრი ქართველი პირველ ხანებში დიდ გაჭირებას განიცდიდა მოულოდნელი გაღატაკებით. ადერბეიჯანის მთავრობამ გაიგო რა მათი მდგომარეობა, დაუყონებლივ გადასცა ქართულ ეროვნულ საბჭოს დახმარება 50.000 მანეთით.

უნდა ითქვას, რომ ბაქოდან ქართველების სამშობლოში გამგზავრების სურვილმა მასიური ხასიათი მიიღო. მე ამას სხვათაშორის იმითი ვხსნი, რომ როგორც მარტში, ისე ენკენისთვეში ბაქოს მცხოვრებლებმა საზოგადოთ ბევრი გადიტანეს, მათ შორის, რასაკვირველია, ქართველებმაც, ისინი ძალზე დაიღალნენ ფიზიკურათ და სულიერათაც, და ცოტათი რომ მაინც დაისვენონ, მიეშურებიან სამშობლოში. ადერბეიჯანის მთავრობა დიდი ყურადღებით ეპყრობოდა და ეპყრობა დღესაც ქართველებს, რომელნიც სამშობლოში მოემგზავრებიან. მათი მოგზაურობა, რაც კი შეიძლებოდა, შეღავათიან პირობებში არის მოწყობილი. ჩემს ზნეობრივ მოვალეობათ ვრაცხ საჯაროთ ვაუწყო ყველას ეს დიდათ სასიამოვნო გარემოება, რომელიც უტყუარ საბუთად მიმაჩნია საქართველოსა და ადერბეიჯანის შორის მომავალი მეზობლურ კეთილ-ცხოვრების გასამტკიცებლად.

**სურსათის საკითხი ბაქოში**

სასურსათო სამინისტრო ყოველ ღონეს ხმარობს, რომ რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს საქმე ამ მეტად რთულ და დიდმნიშვნელოვან საკითხში.

სიძვირე ჯერ კიდევ დიდია. ბოლო დროს ფასებმა უსაჭიროეს საგნებზე დაიკლო.

**ბოლშევიკების ბედი ბაქოში**

ბოლშევიკებზე საზოგადოდ და კერძოდ მათ ლიდერებზე დაჟინებით იმეორებდნენ ბაქოშიაც, რომ ისინი დახვრიტეს კრასნოვოდსკში. დასაბუთებითი კი არაფერი არ ვიცი.

**ბიჩერახოვის რაზმები**

ერთი ბიჩერახოვი იმ დროს, როცა მე ბაქოდან წამოვედი, იმყოფებოდა პეტროვსკში, რომელსაც გარს ერტყა ოსმალეთის ჯარი. პეტროვსკის აღებას ბაქოში ყოველ დღე ელოდნენ. მეორე ბიჩერახოვი კი კუნძულ ნარგენზე იყო მცირე რიცხოვან ჯარით. ჩემს იქ ყოფნის დროს არცერთისაგან და არც მეორე ბიჩერახოვისაგან, როგორც ვიცით, არავითარი დელეგაციის გამოგზავნას ბაქოში არ ჰქონია ადგილი.

**ადერბეიჯანის რკინის გზის მდგომარეობა**

ადერბეიჯანის რკინის გზებზე წესიერება არის დამყარებული. მატარებლები მიდიან წესიერად დერბენტამდე და იქითაც.

**გერმანიის დელეგაცია ბაქოში**

ჩემი წამოსვლის დროს გერმანიის დელეგაცია ფონ-დერ-ჰოლცის მეთაურობით ბაქოში იმყოფებოდა. მე მხოლოდ აქ გავიგე რომ დელეგაცია ბაქოდან თბილის გამოემგზავრა.

**ინგლისი და ადერბეიჯანი**

ინგლისს ადერბეიჯანის რესპუბლიკის მიმართ კეთილი განზრახვები აქვს და ამიტომ მოსალოდნელია მათ შორის სასურველი ურთიერთობას დამყარდეს.

**ჩრდილო-კავკასიის მთიელთა კავშირი**

ჩრდილო-კავკასიის მთიელთა კავშირის და ადერბეიჯანის მთავრობის შორის მოხდა შეთანხმება სხვადასხვა ეკონომიურ საკითხთა შესახებ. (ს. რ.)

## ომი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

### დასავლეთის ასპარეზი

**ბერლინი, 7 გიორგობისთვე.** სამხედრო ცნობა. უჟარდის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფრანგები შელდაზე გადმოვიდნენ, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუ ვაგდეთ. შელდასა და უაზის შუა მტერი მკაცრი იერიშებით სცდილობდა 4 გიორგობისთვეს დაწყობილ ჩვენი მწყობრი უკან დახევისთვის ხელი შეეშალა. უმთავრესად იერიშები მოჰქონდათ ვალანსიენის ჩრდილო აღმოსავლეთით მონგონის გზის სამხრეთით, ბავეს ახლო და ოლნუასთან სამბრეზე მკაცრი, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა მტრის იერიშები მოიგერია. სალამოზე მტერი კიევრენთან, ბავეს დასავლეთის ნაწილში ოლნუა აღმოსავლეთით და ლა-კაპტელის დასავლეთით იყო. უაზასა და ენის შუა მტერმა ვერვინროზუას ხაზს მოაღწია. მდ. ენი ეტელის ორივე მხრით გადმოლახა და სალამოთი ვესინიინოვიონ-პორსიენტურტერონის ჩრდილოეთის ხაზზე იდგა. ენსთან და მეუზას შუა მტერმა ვენდრესსა და მუზონამდე მოაღწია. მეუზის აღმოსავლეთის ნაპირზე ამერიკელები განაგრძობდნენ მძლავრ იერიშებს. მათ გააფართოვეს ხიდის წინ მდებარე პოზიციების თავდასაცავი ასპარეზი. დან-ის აღმოსავლეთით მიუროვის და ფონტენის აღმოსავლეთით მდებარე ტყეებთან მტერი შევაჩერეთ. სევრის აღმოსავლეთით ბრანდენბურგელთა გამოცდილმა ქვეითა № 228 დივიზიამ ყველა პოზიციები შეინარჩუნა.

**ბერლინი, 7 გიორგობისთვე.** სალამოს სამხედრო ცნობა. დასავლეთის ასპარეზზე სიწყნარეა.

### ფრანგ-ინგლისელთა შეტევა

(ბეჭდვ. ბიურ. ც. ა. კ. ბიულეტენი)

**ბრძოლა დასავლეთის ასპარეზზე.** ფრანგ-ინგლისელთა შემოტევა გრძელდება. ინგლისელებმა ლანდრესენი, ლეკენუა და მთელი რიგი სხვა ადგილებისა დაიჭირეს. 13,000 ტყვე წაიყვანეს, ხელთ იგდეს 250 იარაღი. ამერიკელებისა და ფრანგების ჯარებმა ძლიერ გაიმარჯვეს.

## რუსეთი

(ბეჭდვ. ბიუროს ც. ა. კ. ბიულეტენი)

### მე-6 ყრილობის პირველი სხდომა.

**მოსკოვი.** 7 გიორგობისთვე. დიდი თეატრის დარბაზი, სადაც ყრილობა იხსნება ხალხით სავსეა. სვერდლოვის სიტყვის შემდეგ, რომელმაც ყრილობას მიესალმა, ლენინი ლაპარაკობს: „ჩვენი რევოლიუციის წლის თავის დღესასწაულის გადახდა, ამბობს ის, ისეთ მომენტში გვიხდება რომელსაც საერთაშორისო მასტამბში დიდს ამბებს აქვს ადგილი, როდესაც ნათელი შეიქმნა, რომ მსოფლიო ომი პროლეტარიატის რევოლიუციით დასრულდება. ჩვენ წინა წელს მძიმე პირობებში მოგვიხდა რევოლიუციის დაწყება. მომავალში ქვეყნიერების არც ერთი მუშათა რევოლიუცია არ დაიწყება ასეთ მძიმე პირობებში. მუშათა კანტროლიდან ჩვენ მრეწველობის ახალ გამგებლობაზე გადავედით.

გლეხთა საყოველთაო, მიწისთვის ბრძოლიდან, რომელსაც საყოველთაოეროვნული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა, ჩვენ იმას მივაღწიეთ, რომ სოფელს ჩამოვაშორეთ პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ელემენტები, ისინი ვინც განსაკუთრებით მუშაობს, რომლის შრომითაც სხვა სარგებლობს. ყველა ამ ელემენტებმა შეისისხლხორცეს ახალ ცხოვრების აღმშენებლობა და მთელი თავისი ძალები ბურჟუაზიის და ჩარჩების წინააღმდეგ ბრძოლას შეალიეს. ამ წელიწადს ჩვენთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ეხლა რუსეთში ისეთი მივარდნილი კუთხე არ არის, სადაც საბჭოთა ორგანიზაციები არ განმტკიცებულიყოს და საბჭოთა კონსტიტუციის მთლიან ნაწილს არ შეადგენდეს. საერთაშორისო განმარტოებისაგან ჩვენ ისეთ მდგომარეობას მივაღწიეთ, როდესაც ერთად ერთი მტკიცე მოკავშირე, მთელი ქვეყნის მშრომელნი და დევნილნი, ბოლოს აღსდგნენ და ჩვენ გვეშველებიან. დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ბელადები ლიბკნეხტი და ადლერი თავისუფალი არიან. ვენასა და ბერლინის მუშათა რევოლიუციამ, რომელიც იზრდება არა დღეებით, არამედ საათობით. ისინი გაანთავისუფლა. ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებული საერთაშორისო მოკავშირეებთან—პროლეტარიატთან ვდგევართ. ეს ერთ დიდ მიზნის მიღწევაა ჩვენი რევოლიუციის ერთი წლის განმავლობაში. ჩვენ მთელი მრეწველობის სოციალიზაცია დეკრეტებით არ გამოგვიცხადებია, იმიტომ რომ სოციალიზმი მაშინ დამკვიდრდება და განმტკიცდება, როდესაც მუშათა კლასი შესძლებს მართვას, როდესაც მუშათა კლასის ავტორიტეტი განმტკიცდება. უამისოდ სოციალიზმი მხოლოდ სურვილია და ამიტომ ჩვენ მხოლოდ მუშათა კანტროლი შემოვიღეთ. ჩვენ ღირსაღსანიშნავად ძვირფასად მიგვაჩნია ის, რომ ყველა საქმეების მართვა თვით მუშებმა აიღეს ხელში, რომ მუშათა კონტროლიდან მუშები საერთო ნაციონალურ მაშტაბში ყოველგვარ მრეწველობის მართვაში გადავიდნენ. მრავალგვარ დაბრკოლების მიუხედავად, მუშებმა შესძლეს დიდი ნაბიჯის გადადგმა, რომელმაც სოციალიზმის საძირკველი ჩაუყარა. ჩვენი სიტყვა სინამდვილეს სრულიად არ აღემატება და სიმართლის თქმის არ გვეშინიან: დიაღ, ჩვენ მიზნის მისაღწევად ჯერ ცოტა გაგვიკეთებია, მაგრამ გაკეთებული ბევრია და არა-ჩვეულებრივადაც.

ბევრი საძირკველის გასამაგრებლად მართალია მუშებს ათასჯერ აუარებელი შეცდომა მოუვიდათ, რის წყალობითაც თვითვე იტანჯებიან, მაგრამ თვითეული შეცდომა მათ აბრმავებდა ორგანიზაციულ მუშაობაში და მრეწველების გამგებლობაში. რომელიც ეხლა მტკიცე საფუძველზეა ეხლა, როდესაც შრომის და შეცდომების გძელი გზა გავლილია უკვე, მუშათა მასამ იცის, რომ ისინი საკუთარი ხელით ჰქმნიან სოციალიზმს. ვერავითარი შინაური ძალა მას ხელს ვერ შეუშლის საქმის ბოლომდის მისაყვანად. თვალები არ უნდა დავხუჭოთ და უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი ჩვენს დაღუპვას სცდილობს. ისინი ჩვენზე ძლიერი არიან, მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთილებაში არა ვარდებით. პროლეტარულ რევოლიუციის საქმე იზრდება, უფრო ჩქარა, ვიდრე იმპერიალისტურ ძალთა მოახლოება სწარმოებს. ჩვენ სავსენი ვართ იმედით და რწმენით, რომ ვიცავთ არა მარტო რუსეთის რევოლიუციას, არამედ მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციასაც. მტერთა ძალები გაიზარდა, მაგრამ ამავე დროს იზრდება ჩვენი გამარჯვებაც და ჩვენ მარტონი კი აღარ მივდივართ წინ, არამედ ვენის და ბერლინის მუშებთან ერთად, რომლებიც უკვე აღსდგნენ საბრძოლველად და ჩვენს საერთო საქმეებში შესაძლებელია დიდი შეგნება და დისციპლინა შეიტანონ.

გერმანიის მთავრობის უკანასკნელ ნოტის შესახებ ლენინი ამბობს: „გერმანიის მთავრობის ჟესტი იმით კი არ აიხსნება, რომ რაიმე ცვლილება მოახდინოს, არამედ რომ წინად ის თავის თავს უფრო ძლიერად სთვლიდა, არ ეშინოდა, რომ ერთ ცეცხლ-წაკიდებულ სახლისგან მთელ გერმანიას მოჰდებოდა ცეცხლი. გერმანიის მთავრობამ გონება დაჰკარგა, როდესაც მთელი გერმანია იწვის, ის ცდილობს, ცეცხლის ჩაქრობას მით, რომ თავის პოლიციურ წყლის მილს ერთს სახლს უშვერს".

### ბრძანება წითელ ლაშქრისა და წითელ ფლოტისადმი

ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ კონტრ-რევოლიუციონერთა რიცხვში ჩეხ-სლოვაკთა ნაწილებიც არიან. უმეტესობა მათში არიან მოტყუებული ჩეხელი მუშები და გლეხები, რომლებიც დაიმედებული იყვნენ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტები უზრუნველჰყოფენ მათ სამშობლო ბოჰემიის დამოუკიდებლობას. ბოჰემიის დამოუკიდებლობა ეხლა ავსტრიამ, იქ განვითარებულ რევოლუციის წყალობით აღიარა. გარეშე საქმეთა სახალხო კომისართან აღძრული საკითხი რომ უზრუნველჰყონ ჩეხელები, რომელნიც მოისურვებენ სამშობლოში წასვლას სადაც ეხლა რევოლიუციააა. გარეშე საქმითა სახალხო კომისარმა თავის მხრივ აცნობა ჩეხთა მთავრობას, რომ საბჭოთა მთავრობას იმის და მიუხედავად, რომ ბრძოლა ვოლგაზე და ურალზე ჩვენს სასარგებლო. დაა, ჰსურს შეწყვიტონ სისხლის ღვრა, და ამ მიზნით ის მზადაა საშუალება მისცეს ჩეხო-სლოვაკებს, უიარაღოდ, რადგან საშიშროებისაგან უზრუნველჰყოფენ რუსეთის ტერიტორიაზე მათ განთავისუფლებულ სამშობლოში გაისტუმრონ. საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა ბოჰემიის მთავრობას მოელაპარაკოს იმ პირობათა შესახებ. რომლითაც შესაძლებელი იქნება ჩეხ-სლოვაკთა სამშობლოში დაბრუნება. ვუბრძანებ რევოლიუციურ სამხედრო საბჭოების ყველა აღმოსავლეთის ასპარეზის ლაშქარს, რომ მიიღოს ზომები ეს ჩვენი ნაბიჯი და აგრეთვე ავსტრია-ჰუნგრეთში მომხდარ ამბების შესახებ აცნობონ ჩეხო-სლოვაკებს. ამასთანავე ვუბრძანებ დაიინდონ ის ჩეხო-სლოვაკები, რომლებიც ტყვედ უვარდებიან. ჩეხო-სლოვაკების სიკვდილით დასჯისათვის დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში მიიცემიან. დგება დრო, როცა ფრანგ-ინგლისელები და რუსის იმპერიალისტებისაგან მოტყუებული ჩეხო-სლოვაკები უნდა მიხვდნენ, რომ მხოლოდ რუსეთის საბჭოთა კავშირშია ხსნა და მხოლოდ მას შეუძლია გაუადვილოს მათ სამშობლოში დაბრუნება. რესპუბლიკის სამხედრო რევოლიუციურ საბჭოს საქმეთა თავმჯდომარე სახალხო კომისარი ტროცკი.

**იტალიელები ალბანეთში**

იტალიელებმა ალბანეთში 4 გიორგობისთვეს აიღეს დულზიგნო და ანტიბარის ნავთსადგური.

**ამერიკის კონგრესის არჩევნები.**

მიღებულ ცნობებით ამერიკის კონგრესის არჩევნების შედეგი ჯერჯერობით ასეთია: არჩეულია 19 დემოკრატი და 29 რესპუბლიკელი.

## ზავი

### გერმანულ დელეგაციის ინფორმაც. ბიუროს ცნობები

**სტამბოლის რადიოს შეწყვეტა.**

7 გიორგობისთვეს, ღამით გერმანული რადიო-სადგურმა სტამბოლში („ოსმანიე") შეკითხვისას პასუხი აღარ მოგვცა, რაც იმას აღნიშნავს, რომ სტამბოლიდან წასულან გერმანელი რადიო-ტელეგრაფისტები.

**გერმანელები საქართველოში.**

საქართველოში მყოფ გერმანელებზე ჯერ არავითარ განკარგულება არ მოსულა. შეიძლება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით მიღებულ იყოს დარჩენილ გერმანულ ნაწილების ნეიტრალიზაცია.

**ბ ა ქ ო.**

ბაქოში ჩავიდა გერმანელი დელეგაცია ფონ-დერ-ჰოლცის მეთაურობით.

ბაქოში ოსმალთა ჯარები აღარ არიან.

**ავსტრიაში.**

გერმანულ-ავსტრია დამოუკიდებლად გამოვა საზავო კონფერენციაზე.

### პანიკა საბჭოთა წრეებში.

**ხარკოვი.** მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ საგარეო პოლიტიკის მიმდინარეობის ცვლილებამ საბჭოთა წრეებში დიდი პანიკა გამოიწვია. ჩიჩერინმა სადემობილიზაციო კომიტეტის სასწრაფო სხდომა მოიწვია.

### ლ ე ნ ი ნ ი.

**კიევი.** მოსკოვში ბოლშევიკების ცენტრალ კომიტეტის სხდომაზე ლენინი გამოსულა. მან სთქვა: ცენტრალ სახელმწიფოთა საზავო გამოსვლა ჩვენგან ძალთა გაცხოველებას მოითხოვს. დადგა ჟამი, როცა მზადაა ჩვენთვის სასიკვდილო ლახვარი"-ო.

**ტაძრის „ნაციონალიზაცია".**

„ბრიანსკის ანარქ."-ის ცნობით, ბრიანსკის მაზ. ს. სტოლოვიის მცხოვრებლებმა ეკლესია პურის და სხვა სურსათის საწყობად გადააქცია.

**გერმანიის მისიის ცნობები.**

ოსმალეთსა და შეთანხმების სახელმწიფოთა შორის დადებული დროებითი ზავის პირობების თანახმად ინგლისელებს ნება აქვთ ბათუმი დაიჭირონ და იქ თავისი ჯარი შეიყვანონ. ამავე პირობების ძალით ინგლისელებმა ერთი თვის ვადა მისცეს გერმანიის ჯარის გასაყვანად ოსმალეთიდან.

### საზავო პროგრამისთვის

გაზ. „ნორდდოიტშე ალგემაინე ცაიტუნგი" დაწვრილებით არჩევს ლორდ ნორდკლიფის საზავო პროგრამას და ილაშქრებს ლორდ ნორდკლიფის მტკიცების წინააღმდეგ, რომ ლაპარაკიც კი შეუძლებელია „გერმანიის ხალხის ღირსებაზე" ან და შექმნილ სტრატეგიულ მდგომარეობასთან და ცენტრალ სახელმწიფოების ნამდვილ ძალებთან [illegible] რადაც შეფარდებაზე. ამის საწინააღმდეგოდ გაზეთი ამბობს: „ლორდ ნორდკლიფი სცდება. შესაძლებელია და უნდა იყოს კიდევაც ლაპარაკი გერმანიის ხალხის ღირსებაზე და მითუმეტეს, რომ 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოებულ ომის დროს თავის იარაღის ღირსებას იცავდა მის ძალებზე არა ჩვეულებრივად უძლიერეს მტრისაგან. ამნაირად ეს პირობები გერმანიის არმიის ნამდვილ ძალებზე და სტრატეგიულ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. გერმანიის ჯარი არ ჩაითვლება დამარცხებულად, რადგან მის საწინააღმდეგოდ მდგარი ძალები ბევრად აღემატებიან მას. გერმანიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა დაპყრობილ ოლქების დაცლაზე და გერმანიის საზღვრებამდე ჯარის უკან დახევაზე. მან მიიღო ვილსონის პროგრამის 14 მუხლი. მას სურს აიშოროს თავიდან მოლაპარაკების დროს მდგომარეობის გამწვავება, გაუთვალისწინებელი გაუგებრობა და ამიტომ შეამცირა წყალქვეშ ომის ფარგლები და ბოლოს, ფართე კონსტიტუციურ რეფორმებით უმაღლეს მთავარსარდლობის უფლება ხალხის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას დაუმორჩილა. მტერი, რომელსაც ნამდვილათ სურს თანახმად ვილსონის პროგრამისა ღირსეულ და სამართლიან ზავის ჩამოგდება, მოყვანილ ფაქტორებს საკმაო სამხედრო და პოლიტიკურ გარანტიებათ აღიარებს.

გერმანიის მთავრობა მზადაა მიიღოს დროებით შერიგების ისეთი პირობები, რომელნიც შესაძლებლად გახდიან სამართლიან ზავის ჩამოგდებას, მაგრამ არა ისეთი პირობები, რომელნიც საფრთხეს უქადიან ასეთი ზავის ჩამოგდებას და რომლებიც ერთიერთ მეომარ სახელმწიფოს გადასცემენ ვილსონის 14 მუხლის განხორციელების დეტალების დამუშავებას. ასეთი პირობები ჰქმნიან საფრთხეს, რომლის თავიდან აცილებასაც კაცობრიობის ინტერესები მოითხოვს, რომელიც ზავის იდეას საფრთხეს უქადის და მშვიდობიანობას საეჭვოდ ხდის ახლო მომავალში. ასეთი საფრთხის წინაშე შიში მით უფრო საფუძვლიანია, რომ გერმანიის მთავრობამ აქამდე არ იცის ვილსონის მოკავშირენი იზიარებენ თუ არა მის პროგრამას. ნორდკლიფი არ არკვევს 14 მუხლს. გერმანიის მთავრობამ 14 მუხ. ვილსონის განმარტებაც კი მიიღო. გერმანიის მთავრობა არ განიხილავს ნორდკლიფის პროგრამას, ვიდრე არ გამოირკვევა ამ პროგრამას ინგლისის მოკავშირენიც იზიარებენ თუ მარტო ინგლისის მხრითაა იგი წარმოდგენილი. გერმანიის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია ვილსონის პროგრამიდან რაიმეს გამოტოვება, როგორც ამას ნორდკლიფი სჩადის. კონსერვატორული „გერმანიის ყოველ დღიური გაზეთი" ამბობს, რომ მთავრობის მთავარი მოვალეობაა დაუნდობელი ბრძოლა ბოლშევიზმთან და მოითხოვს მოქალაქეთა გვარდიის შექმნას. ლიბერალური „ბერლინის ბირჟის გაზეთი" ამბობს „ყველა, კონსერვატორიული სოციალისტურად მოაზროვნის მოვალეობაა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ხელიხელ ჩაკიდული ბრძოლა".

„ფოსიშე ცაიტუნგი"-ს აზრით საბჭოთა მთავრობის საელჩოს ინტრიგები მომავალში შეუძლებელი გახდა. ბოლშევიკებმა მოსპეს ბოლშევიზმის პრინციპი, კლასობრივი ბატონობა ეხლა ხელოვნურია, მათ გაბატონეს შიში, რომელიც რუსის ხალხს არ აბედნიერებს და იგი სიღარიბეში და წუხილში ჩააგდეს. გერმანიის მუშებს არაფერი საერთო ბოლშევიკებთან არა აქვთ. „ფრანკფურტერ-ცეიტუნგის" ცნობით, დროებითი ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლათ გერმანიამ თავის მხრით დანიშნა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის ყოფილი სამხედრო ატაშე გენერალ მაიორი ფონ-ფირტენფელდი გარეშე საქმეთა სამინისტროს ყოფილი სტატს-სეკრეტარი კონტრ-ადმირალი მაურერი. იმ ფაქტიდან, რომ დასავლეთში გერმანიის რწმუნებულები გაემგზავრენ ის დასკვნა გამოდის, რომ დროებითი ზავის პირობების გამომუშავება ჩქარის ნაბიჯით წაიწევა წინ. სამხედრო კაბინეტი მთელი დღის განმავლობაში ვილსონის საპასუხო ნოტას იხილავდა.

## უცხოეთის ამბები

**გერმანიის მოსალოდნელი მზადება.**

გერმანიის საზოგადო წრეები ბერლინში ირწმუნებიან, რომ თუ ვილსონთან შეთანხმება არ მოხდა მაშინ

გერმანიის მთავრობა ჯარში გაიწვევს ყველა 16—55 წლიანს და დიდ ბრძოლისთვის შეემზადება.

## რ უ ს ე თ ი

**საჰაერო ფლოტისთვის ფულის გადადება.**

„კურსკაია ბედნოტ" იტყობინება, რომ სოვნარკომმა 20 მილიონი მანეთი გადასდო საბჭოს საჰაერო ფლოტის შესავსებად და გასაძლიერებლად.

**თერგის მთავრობა.**

მოზდოკში დაარსდა თერგის კოალიციონური მთავრობა, რომელიც ყაზახობას და აგრეთვე ოსობას ეყრდნობა. ამ მთავრობამ ულტიმატუმით მიმართა კავკავის ბოლშევიკებს მოსპონ დახვრეტა ოფიცრებისა და საზოგადოდ არა ბოლშევიკებისა.

**ბურჟუაზიის და ინტელიგენციის გაქცევა.**

მოგილევიდან იტყობინებიან, რომ რადგან გერმანელთა ევაკუაციის დრო მოახლოვდა, მცხოვრებნი გარბიან. უმთავრესად კი რუსის ბურჟუაზია, ინტელიგენცია და მოხელეობა. პოლონეთის ბურჟუაზიაც მათ ჰბაძავს. საერობო და ქალაქის დაწესებულებებიც ემზადებიან სწრაფი ევაკუაციისათვის.

**ინგლისის მისიის დატუსაღება.**

ც. აღ. კ. „იზვესტიას" კავკავიდან ატყობინებენ, რომ დაატყვევეს ინგლისის მისია, რომელსაც დამოკიდებულება ჰქონდა ალექსეევის მოხალისეთა ჯართან. ხელში ჩაიგდეს ლოკარტის წერილი ინგლისის მისიის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი და აგრეთვე წერილი შულგინისა ალექსეევთან, რომელშიაც სთხოვდა კავშირი დაეჭირათ მოკავშირეებთან. წერილებით დაიჭირეს ალექსეევის ოფიცერი შტ. კაპ. უგნევენკო, რომელიც უკვე დახვრიტეს.

## უ უ ბ ა ნ ი

**ყაზახების უარი გვარდიის წინაღმდეგ გამოსვლაზე.**

მოხალისეთა ჯარის ყაზახების რაზმმა, რომელიც ლაზარევკაში იყო, თავის ნებით უარი განაცხადა, რომ საქართველოს სახალხო გვარდიის წინააღმდეგ მას გამოსვლა არა ჰსურს.

უკრაინის დეპეშათა სააგენტოს ეკატერინოდარიდან ატყობინებენ: უფაში დაარსებულ მთავრობის დამოკიდებულებათა შესახებ საოლქო მთავრობა იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ეს დაარსებული მთავრობა ტერიტორიულად განცალკევებულია ყუბანთან, რის გამოც მასთან საოლქო მთავრობის დამოკიდებულების საკითხს პრაქტიკული მნიშვნელობა ეკარგება. საოლქო მთავრობად შეიძლება ცნობილი იყოს ის მთავრობა, რომლის შედგენაშიც მონაწილეობას იღებს ყუბანის მოსახლეობა. ამ მოსაზრების გამო დირექტორიასთან დამოკიდებულების საკითხი რიგიდან მოხსნილია. საოლქო მთავრობას სამხრეთ დასავლეთ სახელმწიფოების უმთავრეს მიზნად მიაჩნია ბოლშევიკებთან ბრძოლა. ამავე მიზნით საჭიროდ არის მიჩნეული ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხრეთ დასავლეთის ასპარეზის შექმნა, რომელშიც შეერთებულად შევლენ ჯარები: ყუბანისა, უკრაინისა, თერგისა, საქართველოსი, სომხეთისა და ადერბეიჯანისა. ამ მთლიან ასპარეზის შექმნისათვის და მოქმედების გეგმის შეათანხმებლად მოწვეული იქნება კონფერენცია.

## სამხ. სამინისტროში შესვლის წესი.

1) სამხედრო მინისტრი მთხოვნელებს და წარდგომის მსურველებს ღებულობს ორშაბათობით და ხუთშაბათობით 13 ნახ.-დან 15 ს-მდე.

2) მთხოვნელებს და წარდგომის მსურველთ სამხედრო მინისტრის თანაშემწეები ღებულობენ ორშაბათობით ხუთშაბათობით 13 ნახ. ს-დან 15 ს-მდე.

3) პიროვნულის შემადგენლობის განყოფილებაში და საერთო განყოფილებაში ცნობები ეძლევათ ორშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 13 ნახ. ს-დან 15 ს-მდე.

მხოლოდ ამავე დღეებში ღებულობენ პიროვნულის შემადგენლების განყოფილების და საერთო განყოფილების უფროსები იმ პირთ, რომელნიც არ მსახურებენ სამხედრო სამინისტროში.

4) წინა მუხლებში აღნიშნულ დღეების გარეშე უცხო პირთ სრულებით არ შემოუშვებენ სამინისტროს შენობაში. შემოუშვებენ მხოლოდ სამხედრო სამინისტროს ხარისხოვნებს, არმიის თანამდებობის პირებს და სხვა სამინისტროს წარმომადგენლებს, რომელთაც ესაჭიროებათ სამხედრო სამინისტროში ყოფნა სამსახურის საქმეების გამო.

ამას გარდა შემოუშვებენ აგრეთვე იმათ, ვისაც სამხედრო მინისტრის ან მის თანაშემწის ხელმოწერილი ნებართვა ექნება რიგს გარეშე შემოშვების შესახებ.

## ქართულ ჯარისთვის

ახალ სახელმწიფოს დაარსების დროს ცხოვრების ყოველ მხარეს ერთგვარი მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მექანიზმის ერთი რომელიმე დარგი უფრო, განსაკუთრებით საჭირო იყოს და ამ დარგს მთელი ყურადღება მიექცეს. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ყველაფერს ეშველება თუ მაგ. მიწადმოქმედება გავაუმჯობესეთ, ან მრეწველობა განვავითარეთ, ან გზები გავაკეთეთ, ან უნივერსიტეტები და სკოლები დავხსენით და ან კიდევ კარგი ჯარი შევქმენით. არა, ყველა დარგი თანაბრად უნდა უმჯობესდებოდეს და ყველგან უნდა არსებობდეს თავისი ორგანოები, რომელნიც იმუშავებენ ერთ რომელიმე გარკვეულ დარგში. აგრეთვე შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ შეიძლებოდეს სახელმწიფო ცხოვრების რომელიმე მხრის განვითარების უმწვერვალესობამდე მიყვანა, როცა მეორე მხოლოდ ისახება ან და განუვითარებელია ეს მხოლოდ შეუძლებელი ოცნება იქნებოდა. ისტორია ჩვენ გვიჩვენებს, რომ ყველა ქვეყნებში ცოტად თუ ბევრად საერთოდ ან ყოველი დარგი განვითარებულია ან არა და ყველაფერი დაცემულია. მაგალითები თვალ-წინა გვაქვს. გერმანია, ინგლისი, ამერიკა და საფრანგეთი თავისი კულტურით ერთის მხრივ და რუსეთი და ოსმალეთი მეორე მხრით. რომელი დარგი სდგას ამ ორ უკანასკნელ სახელმწიფოში თავის შესაფერ სიმაღლეზე, რომელ უწყებას შეეძლო ეთქვა ჯერ ისევ ომის წინად, რომ იგი თავის დონეზე იყო? რასაკვირველია ჯარის შესახებაც ესეთივე ჭეშმარიტება ითქმის. უნდა გვახსოვდეს, რომ ჯარში გამოიხატება ერის მთელი კულტურა. ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ კულტურის დაბალ საფეხურზე მდგარ რომელიმე ქვეყანას რიგიანი ჯარი ჰყოლოდეს. თუ გავითვალისწინებთ ამა თუ იმ სახელმწიფოს კულტურის განვითარების პროცესს და ჯარის მდგომარეობას მისი ცხოვრების სხვადასხვა ხანაში, ჩვენ დავინახამთ, რომ განვითარება კულტურისა და ჯარისა ერთნაირად ხდებოდა, ე. ი. როცა კულტურა მაღლა იდგა ჯარიც კარგ მდგომარეობაში იყო და როცა კულტურა ეცემოდა, ჯარიც ქვეითდებოდა. ეს მოვლენა იმდენად მარტივი ჭეშმარიტებაა რომ ლაპარაკიც კი მეტია. თუ რომელიმე ნაკლებ კულტუროსანი ერის ჯარს როდისმე გამარჯვება რგებია, ეს იმით აიხსნება, რომ მეორე ან უფრო ნაკლებ კულტუროსანი, ან და პირველი გაცილებით მრავალ რიცხოვანი იყო.

ეს პატარა წინასიტყვაობა ჩვენ გაგვიადვილებს იმ დასკვნას, რომელიც უნდა გამოვიტანოთ ჩვენი ჯარის შესახებ. კარგი არ არის ზედმეტი პესიმიზმი, მაგრამ გადაჭარბებული ოპტიმიზმიც გულუბრყვილობას უდრის. ჩვენ ჯერ კულტურულად ჩამორჩენილნი ვართ და ბევრი მუშაობა გვჭირია. როდესაც ჩვენს კულტურულად ჩამორჩენაზე ვლაპარაკობ, მე ვადარებ დასავლეთ ევროპას და არა ჩვენს „ოპეკუნს", რომელიც ას წელზე მეტი გვყავანდა. მისი მდგომარეობა გაცილებით უარესია ჩვენსაზე. მაგრამ არც ეს არის სასირცხვილო, ჩვენ ხელთ არ იყო ჩვენი თავის ბატონ-პატრონობა და ღმერთიც და ისტორიაც გვაპატიებს ჩვენს ჩამორჩენილობას, მხოლოდ ეხლა კი, როცა ბედმა შეძლება მოგვცა ჩვენი ცხოვრება ჩვენვე მოვაწყოთ უნდა ჩვენი უნარი გამოვიჩინოთ.

რა არის საჭირო ჩვენი ჯარისათვის? ჩვენი ჯარი ახლად იბადება—მთელი ადრი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისა. სამწუხაროდ ეს კადრი სუსტია და არა სდგას თავის შესაფერ სიმაღლეზე. რასაკვირველია მათში არიან კარგი გაწვრთნილნი ხელმძღვანელნიც, მაგრამ ცოტა კი. არ შეიძლება კადრად ჩავთვალოთ სამხედრო დროის ოფიცრობა, რომელთა უმეტესობას არ მიუღია შესაფერი მომზადება, რომ შეეძლოს ჯარისკაცთა გაწრთვნა და ხელმძღვანელობის გაწევა.

ჩვენ ჯარს გადმოყოლილი აქვს ტრადიციები უცხო ჯარისა, სადაც უმეტეს ნაწილად დამოკიდებულება ოფიცერსა და ჯარისკაცის და უფროს და უნცროს ოფიცერთა შორის არ იყო სერიოზული და სწორი და საფუძვლად არ ჰქონდათ ის შეგნება, რომ ემსახურებოდნენ ერთს საერთო საქმეს. აქ უფროსი თავისზე უნცროსს რაცხდა მონად და არა უნცროს თანამშრომლად სამშობლოს სამსახურის საქმეში. იქ არ სჩანდა სულიერი სიამაყე, იქ დაბეჩავება იყო გამეფებული.

სამწუხაროდ ზოგიერთი ასეთი თვისებები ბუნებრივად შეგვეთვისა. ძნელია ასეთი თვისებებისაგან განთავისუფლება, მაგრამ საჭიროა ცდა უარყოფა ამ თვისებებისა.

დიდი მნიშვნელობა აქვთ ოფიცრების და უნტერ-ოფიცრების შემადგენლობას და იმათ გაწვრთნაზე და შერჩევაზე დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული.

როგორ მიდის ჩვენში შერჩევის საქმე?

ჯერჯერობით მხოლოდ ნაცნობობით და ღირსებით კი იშვიათად. ნათლიმამობა და პროტექცია დიდია. ამ მხრივ არავითარი სისტემა არა ჰსჩანს. ამ მოვლენასთან ბრძოლა უმფროს ხელმძღვანელთ, მაგ. სამინისტროს ჯერ არძალუძთ, ხოლო უმცროსნი კი დაინტერესებულნი არ არიან და ამის გამო ჯარის სხვა და სხვა ნაწილები, უმთავრესად კი პოლკები, იმას აკეთებენ როცა უნდათ. ამ საკითხის მოგვარებას ცდილობენ მაგრამ აქამდის პოლკებში ვერ შექმნეს რიგიანი კადრი. საქმეს არაფერი ეშველა. პოლკში უმთავრესი პოლკის კომანდირია. როცა ახალი ჯარი სდგება, ახლად ეწყობა ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა შემადგენლობა აი მაშინ არიან საჭირონი კომანდირები, რომელთაც თავისი ბეჭედი უნდა დაასვან ამ პოლკების ცხოვრებას რამოდენიმე წლით და საფუძველი ჩაუყარონ მათ ტრადიციებს რომლითაც ჩვენი პოლკები ¼ საუკუნეს მაინც იცხოვრებენ. როგორ მდგომარეობაშია საქმე ამ მხრივ? ძალიან ცუდში. გვიან იქნება თუ ამ მხრივ თავის დროზე ზომები არ მიიღეს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ოფიცერთა შემადგენლობაზე ლაპარაკი და მაშინ ეს საკითხი თავის-თავად ადვილად გადასწყდება. რაც შეეხება ოფიცერთა შერჩევას, ამას, ჩვენი რწმენით, მხოლოდ გამოცდის სისტემა უშველის. საჭიროა რომ როტის კომანდირებს, მათზე მაღლებს და კანდიდატებს გამოცდები ჰქონდეთ, ხოლო გამოცდების პროგრამა უნდა წინასწარ იქნეს ზედმიწევნით და საფუძვლიანად შემუშავებული. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საკითხს, ეხლა კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გამოცდები უნდა სწარმოებდეს მთელს ჯარში. მხოლოდ ერთად-ერთი კომისიის საშუალებით. მოურიდებლად ვიტყვი, რომ ჩვენს ჯარში ბევრია ისეთი პირი, რომელთაც კარგ ჯარში ადგილი არა აქვთ. კომისიაში უნდა შედიოდნენ წევრებად სამხედრო პირები და პარლამენტის წევრნი. თუ მართლა განზრახულია ჯარის შექმნა, მაშინ ეხლავე უნდა ვიზრუნოთ შესაფერისი სასწავლებლის შესაქმნელადაც თორემ რამოდენიმე წლის შემდეგ ჯარი უოფიცრებოთ დარჩება ან და, ჩვენი კულტუროსნობის მიხედვით, გვეყოლება უსწავლელი ოფიცრები და ხალხი ტყულად გასწევს ამაზე მილიონების ხარჯს. ხოლო თუ მუდმივი ჯარის შექმნა არ გვინდა, მაშინ უნდა ვემზადოთ სხვა სისტემაზე გადასასვლელად და ხალხი განზრახ შეცდომაში არ შევიყვანოს, ვინაიდან ამით ილახება სახელმწიფო ინტერესები.

(დასასრული იქნება).

## რუსი აფიცრების დეპუტაცია ნური ფაშასთან

ბაქოში მყოფ რუს აფიცრებს და მათ ოჯახებს დახმარება დაუნიშნეს. ამის გამო 2 გიორგ. რუს აფიცრების დელეგაცია წარუდგა კავკასიის მუსულმანთა არმიის მთავარ სარდალს ნური ფაშას. დელეგატებად იყვენ რუსის ლაშქრის 3 პოლკოვნიკი. დელეგაციამ რუსი აფიცრების და მათი ოჯახების სახელით მადლობა მოახსენა ნური ფაშას. ერთმა აფიცერმა შემდეგის სიტყვებით მიმართა ნური ფაშას: „თქვენი აღმატებულების მიერ რუსთა აფიცრებისთვის ფულად და სურსათით დახმარების დანიშვნა ჩვენზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მერწმუნეთ, რომ გულწრფელობით, რომელიც თან ახლავს რუსის სულს, სამახსოვროდ დაგვრჩება თქვენ მიერ მიღებული ზომები.

ნური ფაშამ გულწრფელობით უპასუხა: „ჩვენ და თქვენ, დღეს ჯარისკაცები ვართ. ჭეშმარიტი თურქის ასკერი ვერას დროს ვერ შეურიგდება იმ მოვლენას, რომ მისი ამხანაგი რუსის ოჯახობა გაჭირვებაში იმყოფებდეს. ამიტომ ჩვენი ლაშქრისა და ადერბეიჯანის მთავრობის სახელით ვცდილობთ შეძლების-დაგვარად შევიმსუბუქოთ მდგომარეობა". ამის შემდეგ ფაშამ ხელი ჩამოართვა რუს პოლკოვნიკებს და თანაგრძნობით გააცილა ისინი. („ად.").

## ბორჩალოს სომხობა

ბორჩალოს მაზრას, დღევანდელი სახელი მე-XVII საუკ. უწოდა შაჰბაზმა, აქედან მცხოვრებთა ერთი ნაწილი სპარსეთში გადაასახლა, ნახევარიც ბრძოლაში მოსპო, მათ მაგიერ კი დაასახლა თათრები, რომელთაც ეწოდათ ელნი და მათგან ამ კუთხეს ბორჩალო დაერქვა. ძველად კი ეწოდებოდა სამშვილდე და ხან ბერდუჯი.

ეს კუთხე დასახლებული იყო მარტო ქართველის ტომით და 400-ზე მეტი სოფლები ითვლებოდა. ადგილმდებარეობაც ქართველ თავად-აზნაურებისა იყო. ამას ჰმოწმობს ისიც, რომ მე-5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასლანმა აქ რამდენიმე დიდი ეკლესია-მონასტრები ააგო და მასთან სამი საეპისკოპო კათედრა:

**ახტალის ვრცელი ტაძარი,** გააკეთა ვახტანგ გორგასლანმა და დასვა აქ ეპისკოპოსი და ამის ხელთ იქმნა 120 სოფელი.

**სიონი ბოლნისისა,** ესევე საეპისკოპოსო ტაძარი, რომელთა ეპისკოპოს ბოლნელს ებარა 100 მეტი სოფელი და მისი სამღვდელოება.

**მანგლისის** ვრცელი ტაძარი, საეპისკოპოსო, რომელსაც ეწოდებოდა მანგლელი, რომელსაც ებარა 150 მეტი ქართველი სოფლების სამღვდელოება.

**ახპატის ეკლესია,** ვრცელი, გუმბათიანი, აღაშენა ვახტანგ გორგასლანმა. დღეს იგი სომხეთ უპყრიათ.

**სანაინის ტაძარი,** აღშენებული ვახტანგ გორგასლანის შვილისაგან, დღეს უპყრიათ სომხეთ.

სომხებს მარტო ეს ორი ტაძარი არ ეკუთვნის, ამას გარდა სხვებიც უკავიათ, როგორც ბოლნისი, სიონი და ბევრიც სხვა.

ახატის და სანაინის მონასტრები მე-XIII საუკ. ნახევარს, თამარ მეფის შვილმა, კეთილ სამსახურის გამო აჩუქა ზაქარია და ივანე მხარგძელიშვილებს, რომელნიც იმავე დროს არღუთაშვილებად იწოდებოდნენ.

სომხების ჩამოსახლება საქართველოში პირველად მოხდა 1128 წ. დასახლდნენ თბილისს, გორსს, ახალგორს, ახალქალაქს, უფლის ციხეს. ამ დროს, ბორჩალოს მაზრაში სომხეთ ხსენება არ იყო. მე-13 საუკ. ბოლოს, სომხეთიდან სომხებმა იწყეს გადმოსახლება ბორჩალოს მაზრაში, ამ საქმეს მფარველობდნენ არღუთაშვილებიც (არღუთინსკი). ეს იყო პირველი ნაბიჯი სომხეთა ჩამოსახლებისა ბორჩალოს მაზრაში.

მიდიოდა დრო და სომხობაც ამ კუთხეში ფეხს იდგამდა. მოვიდა XVII საუკ. და საქართველოს შემოესია შაჰაბაზი, ქართველობა შემცირდა და აქედან ქართლსა და კახეთში გადასახლდნენ.

ქართლ-კახეთის სოფლები დარჩა უხალხოთ, აქაურმა სომხებმა ისარგებლეს ამით და ნაოხარ ქართულ სოფლებზე დასახლდნენ.

1620 წლიდამ სომხებმა იწყეს გადმოსახლება და 1640 წლებამდე, მთელი კუთხე გაივსო სომხებით, ქართული სამეფოც ყურადღებას არ აქცევდა და დახმარებასაც აძლევდა.

ამ დროს სომხებმა ადგილებს სახელებიც კი შეუცვალეს, მაგ. ბოლნისის კუთხეს უწოდეს „ბოლნაფორა", მანგლისის ხეობას „მანგლაფორა" და სხვა. სომხებმა XVIII საუკ. და ერეკლე მეფის დროსაც თავისუფლათ იწყეს გადმოსახლება. გიორგი მეფე კი ერიდებოდა, რადგანაც სომხები სძულდა და ერეკლეს სიკვდილიდამ სომხეთა გადმოსახლება ბორჩალოს მაზრაში შეჩერებულ იქმნა. ეს გარემოება სომხებს ეწყინათ, და მიჰმართეს პავლე იმპერატორს მეფე გიორგისთან საშუამდგომლოდ.

პავლე იმპერატორმა შეისმინა მათი დავალება და 1798 წ. მეფე გიორგის წერილობით სთხოვა მათი დაკმაყოფილება.

გიორგი მეფე პავლე იმპერატორის დიდი პატივისმცემელი იყო. უარი ვერ უთხრა და თანხმობის წერილი მისწერა და აუწყა, რომ ცარიელი ადგილები მხოლოდ ბორჩალოში თუ მოეპოება.

1799 წ. იწყეს ხელახლად გადმოსახლება, და სულ მალე ბორჩალო სომხებით გაივსო.

ზ. ჭიჭინაძე.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.


## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | სალამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | სალამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | სალამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

## კერძო სამკურნალო

**ექ. ა. დ. ალექსიძის**

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილისს. 607—914 ... ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იმხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 46 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 9, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

ახლად მოწყობილი სტამბა

## ხელოვნება

**(ველიამინოვის ქუჩა № 20)**

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

**ალ. ასათიანის ნაწერი**

## მიწის საკითხი საქართველოში

წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში.

(10—10)

ექიმი

## ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და სალამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**ქირ. და ქალთა სნეულების**

## საავათმყოფო

სამშობიარო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს.

15—1739—11

გაიხსნა

## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხიძისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

## გეგელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და სალამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ექიმი

## გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და სალამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

## სამკურნალო

**ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ გ. გ. მძინარიშვილის და დ. ა. ნაზარიშვილის**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩკინი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩკინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—სალამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

**დოქტორი მედიცინისა**

მოსკ. უნივერსიტეტის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. სალამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაზაევის შესახვევი № 1.